ქ567~3402

21

საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!



საბჭოს ხმა


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 7 (167)

აპრილი,

1967 წელი



ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი.



აპრილი

აპრილი, ანუ ძველებურად იგრიკა, საქართველოში ნამდვილი გაზაფხულის თვეა. მარტში თუ ზამთრის სუსხი მოგვდევს და მაისში კი ზაფხულის ხვატი წამოგვივლის ხოლმე, სამაგიეროდ აპრილი გულისგული გაზაფხულია, შედარებით თანაბარი, სასიამოვნოდ თბილი. ამ დროს გაზაფხულის მთელი მაყრიონია წამოსული, მწვანედ ღაღანებს მინდორი-ველი. მიწის ზედაპირი დამშვენებულია ათასნაირი ყვავილით, მოლითა თუ აღმონაცენით, აპრილში ისახება ბუნების საგაზაფხულო სამოსელი, ბუნების ჭრელი და ლამაზი კაბა. აპრილშივე იჩითება იგი ნაირნაირი ფერებით, რომელნიც აპრილის ბოლოსათვის ძლიერდებიან. აპრილში დაიწუხლებს ხოლმე ჭიჭილიც, რომელსაც ხშირად გადაჰკრავს ცელქი ნიავის მზეკაბანი, გეგონებათ, ტალღის ჭავლმა გადაურბინა აქამდე გაყუჩებულ და მოელვარე ტბის ზედაპირსო.

სწორედ ამიტომ ამბობს ჩვენი ხალხი: „ყანას უთქვამს: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხი, თიბათვეში გული ჩავიდგი და მკათათვეში მოვიმკეო“. ამ პატარა თქმაში ხორბლის განვითარების მთელი და სრული ბიოლოგია ჩანს.

აპრილში უხვადაა მრავალნაირი მხალი. ამ დროს იკრიფება ღანძილი, კოპრჩხილა, ქარქვეტა, ჯონჯოლი და სხვა მრავალი ტყისა და მინდვრის მცენარე, რომელსაც მწნილად დებენ. აპრილშივე იყენებენ ჭინჭარს, სატაცურს, ეკალას, ბებრიკონჯას, თიკნიყურას, ნაცარქათამას, ყუნურუკს, სვიას, არჯაკელს, ბალბას და მრავალ სხვას.

აპრილის დასაწყისში გაშლილია ნუში და ატამი, გარგარი და ჭერამი, ტყემალი და ალუჩა. პატარძალსა ჰგავს, საჭორწილოდ გამზადებულს, ჩვენში აპრილი. თვის ბოლოს კი აყვავდება უფრო დარბაისელი ხილეული: ვაშლი და მსხალი, კომში და ზღმარტლი. გაზაფხულის იმ მაყრიონს, რომელიც მარტში გვეწვია, ემატება: ყვითელი ფურუსელა, შროშანი, ია-ია, გვირილა, სოსანი. მოსაფრენი ფრინველი მოფრინდა, გამოცოცხლდნენ გარეული ცხოველებიც. არის გაბურებული ყლორტული, მოუსვენარი ფრენა, ბუდეების კეთება, შეკეთება, დედალ-მამლის ურთიერთძებნა - დაწყვილება. ყველა ემზადება იმისთვის, რომ წელი უშედეგოდ არ გაატაროს: შთამომავლობა დატოვოს.

ბავშვები, და საერთოდ, მოწაფეები, ექსკურსიებზე უფრო ხალისით მიდიან, მათი ყივილ-ხივილი ემატება ფრინველთა ყლორტულს. აკვირდებიან მცენარეებს: რომელი აყვავდა, რომელი იწყებს ყვავილობას, რომელმა დაიყვავილა. გაჩნდა თუ არა მცენარის მავნებელი მწერი, რამდენია ის. თუ შეამჩნევენ, რომ ბევრია, მაშინვე აცნობებენ აგრონომს, რომ ზომები მიიღოს. დაკვირვების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა: როგორ იქცევა ფრინველი და ნადირი, რომელმა გაიკეთა ბუდე, რომელი იკეთებს. დაკვირვებას ახდენენ, აგრეთვე, ფუტკარზე — რომელ ყვავილს ეტანება და საიდან იღებს ღალას. აპრილიდანვე იწყება სამკურნალო მცენარეების შეკრება. აპრილში ბევრგან კარგად ყვავის შროშანა და ამ დროს მოკრეფილი შროშანა წამლის მისადებად ფრიად ძვირფასია.

სოფელშიც მეტი გამოცოცხლებაა, უფრო სწორად, სოფლის ბაღ-ვენახებში და მინდორში. ყველგან ხალხია გამოფენილი. ათასნაირადაა აჭრელებული არემარე ნაირ-ნაირი კაბით, თავსახვევით და, საერთოდ, ტანსამოსით.

აპრილი, პირველ რიგში, თესვის თვეა მთასა (1200 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან) და ბარში. ითესება ყოველგვარი ბოსტნეული, კეთდება კვლები, სარწყავი რუ და სხვა. ბარად აპრილის ნახევარს რომ ბოსტნეულის თესვა გადასცდეს, „მოსავალი აღარ მოვაო“, იტყვის ხოლმე ჩვენი კოლმეურნე. მაგრამ მთავარი მაინც მინდორია, მინდორია დედაბოძი ჩვენი სოფლისა, სოფელს თუ პირი არა აქვს, მაგრად ვერ იგრძნობს თავს. „გლეხმა რა გაყიდა და პური და ღვინოო, რა იყიდა და პური და ღვინოო“. — შემთხვევით კი არაა ნათქვამი. ამიტომაა, რომ მინდორში გაჩაღებულია თესვა გაზაფხულის თავთავიანებისა: პურისა (დიკისა) და ქერისა, შვრიისა და ფეტვისა. კარგად დამუშავებულ ხნულებში ითესება სიმინდი, მესაქონლეობის მტკიცე საფუძველი. მთაში, მზვარე ადგილებში, სადაც უკვე ამშრალა, იხვნება, ემზადებიან სათესად.

ბოსტნისა და თამბაქოს კვალსათბურებში ძველებურად გრძელდება ჩითილის მოვლა, კარგ ამინდში აპრილშივე იწყება დარგვა და მოვლა. ითესება ნესვ-საზამთრო, კიტრი, გოგრა და მისთანანი.

ჩაის პლანტაციებში ჩნდებიან კალათიანი ქალები, იწყება პირველი კრეფა, შეაქვთ მინერალური სასუქი.

ვენახში ხომ გაჩაღებულია გარჯა და შრომა, იწყება შეკვეთა. იგი სწრაფად უნდა დამთავრდეს, თორემ თბილ გაზაფხულზე შეიძლება ნორჩმა რქამ გამოგვასწროს.

აპრილში უნდა დამთავრდეს ახალი ვენახისა (ბაგის) და ბაღის გაშენებაც, ძველ ბაღში ბარვა, ხის ტანისა და დედატოტების შეთეთრება. იწყება პირველი წამლობა. ადრეული წამლობა თავდება კარგი მოსავლის მიღებისა.

ჯეჯილები თუ მეტად სუსხნიანმა ზამთარმა არ დააზიანა, ჩვეულებრივად, აპრილში მწვანედ ღაღანებენ ხოლმე. ამ მწვანე ღაღანში მონაწილეობას იღებენ სარეველებიც. შალგას, ბოლოკას, თეთრი ნარის, მინდვრის მდოგვისა და სხვათა ფესვთანი ფოთლები ჯეჯილში ფართოდ გადაშლილან. გამოჩნდება თუ არა სარეველა, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მარგვლას, დროზე უნდა გამარგვლა ნახევარი მოსავალია. აი, ამიტომაც აპრილის დასაწყისში თავდარიგიანი კოლმეურნეობის მინდვრებზე ხალხის გრძელი მწკრივი მისდევს ყანას და მარგლავს ასუფთავებს.

ძველთაგანვე მარგვლაში ბავშვებსა და მოზარდებს პირველი სვე ეჭირათ. მათი წითელ-ყვითელი კაბა-ზედატანით ისე აჭრელებული იყო მწვანე ჯეჯილი, გეგონებოდათ, ყანას ყაყაჩოს რაზმი შესევიაო. ნორჩ ნატურალისტებს ყანის მარგვლით დიდი სარგებლობა მოაქვთ საქვეყნო დოვლათის გასაზრდელად. გარდა ამისა, მარგვლის დროს შეგროვილი უნდა იყოს სარეველების კოლექცია, შესწავლილი — მათი ბიოლოგია.

არც საქონელი უნდა დავივიწყოთ. უნდა დაითესოს ბარდა, აგრეთვე ბალახნარევი, სამყურა, იონჯა, ესპარცეტი, განსაკუთრებით იქ, სადაც აგროწესებით მათი თესვა აუცილებელია. დაგვიანება ნიშნავს ერთი განთიბის დაკარგვას მაინც.

აპრილში იწყება სამზადისი, რომ მაისიდან საქონელი მთის საძოვრებზე ავრეკოთ, ტარდება წამლობა, გადარჩევა, ბარის საძოვარზე გაშვება და სხვა.

ერთი სიტყვით, აპრილი არის ის თვე, როდესაც წლევანდელი მოსავლის წინა თვეებში უკვე ჩაყრილ-დაწყებულ საძირკველს ემატება მთავარი კედელი.

ნიკო კეცხოველი,
აკადემიკოსი.

ამინდის წინასწარმეტყველი

ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ჯ. მდინარაძემ „სემ-2“ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანას „ასწავლა“ ახალი სპეციალობა — უახლოესი 2-6 დღის ამინდის წინასწარმეტყველება. მკვლევარმა ამისათვის შეიმუშავა ამინდის პროგნოზის ორიგინალური მეთოდი საშუალო ვადებისათვის. მას საფუძვლად უდევს ევროპის ტროპოსფეროსა და განსახილველ რაიონში ატმოსფერული ცვლილებების მრავალი წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გარკვეული თვის თითოეული დღისათვის. გამოყვანილი განსაკუთრებული კოეფიციენტები რაიონის უახლეს სინოპტიკურ მონაცემებთან ერთად საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით ვიწინასწარმეტყველოთ ამინდი ერთი კვირით ადრე — არა მარტო დღე-ღამის, არამედ აგრეთვე საათების განმავლობაში.

ამინდის პროგნოზს საშუალო ვადებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სუბტროპიკული ზონისა და სამხრეთ ევროპის სამთო სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის. ასეთ რაიონებს ეკუთვნის, მაგალითად, დასავლეთი საქართველო. აქ ადგილის რთული რელიეფისა და ტროპოსფეროში ატმოსფერულ მოვლენათა სწრაფი ცვლის გამო შესაძლებელია ტემპერატურის მკვეთრი შეცვლა და სუსხიც კი გაზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის თვეებში. მოსალოდნელი უამინდობის დროზე წინასწარმეტყველება დაეხმარება რესპუბლიკის სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს საიმედოდ დაიცვან სითბომოყვარული ხეხილისა და ტექნიკური კულტურების პლანტაციები სუსხისაგან.

ხოხბები და ღურაჯები

გაზაფხულდა! ეს განსაკუთრებით ტყეში იგრძნობა. ჰაერი გაჟღენთილია ყვავილთა სურნელებით. იკვირტებიან ხეები და ბუჩქები. მწვანედ ახასხასდა ბალახი.

დილაა. მზის სხივებს გაუცისკროვნებიათ მიდამო. სიჩუმეა. საიდანღაც ხოხბების კრიახი მოისმის. აი ისინიც. მამალი ხოხობი ღია წითელი ფერისაა, დედალ ხოხობს კი ნაცრისფერი დაჰკრავს. რამდენიმე წუთის შემდეგ ფრინველები გაუჩინარდნენ.

ასეთ სურათს დააკვირდებით ახლა ხოხბის ნაკრძალებში. ნაკრძალები მდინარეების ივრის, ალაზნის, რიონის, ხობის ჭალებშია. მათ შორის უდიდესია საგარეჯოს რაიონის ყორუღის. სიღნაღის რაიონის ივრის, წითელწყაროს რაიონის ჩაჩუნისა და ხობის რაიონის სოფელ ქარიატასთან მდებარე ნაკრძალები.

ცოტა ხნის წინათ ხოხბებს გადაშენება მოელოდათ. მათ დაუნდობლად წყვეტდნენ ბრაკონიერები, ტყის მტაცებლები. ახლა ხოხბებზე ნადირობა აკრძალულია. ამჟამად ნაკრძალებში 30 ათასი ხოხობია.

ნაკრძალებში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ფრინველები თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მაძღარნი იყვნენ. რგაენ კვრინჩხს, ჭაცვს, ფშატსა და სხვა მცენარეებს, რომლებიც ხოხბებს უყვართ. მინდვრებში, ტყის მისასვლელებთან ათხვიერებენ მიწას მარცვლეულის დასათესად, ამზადებენ საკვებურებს.

ნაკრძალებში მომრავლდნენ დურაჯებიც. ამ ფრინველებსაც წინათ უმოწყალოდ სპობდნენ. ახლა ამ ფრინველებსაც იცავენ და უვლიან. დურაჯებიც საკმაოდ მომრავლდნენ. რამდენიმე წლის წინათ სულ რამდენიმე ათეული დურაჯი იყო. ახლა კი ორი ათასამდეა.

„სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

მ. ვ. კელდიში

ქართული მეცნიერების მიღწევები

საბჭოთა მეცნიერების მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს მეცნიერებს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი წამყვანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების საქმიანობას რომ გავეცანით, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ როგორ მოძველდა ცნება „პერიფერიული მეცნიერება“. საბჭოთა მეცნიერება ნაყოფიერად უნდა ვითარდებოდეს ყველა მიმართულებით — ჩვენი ქვეყნის ყოველ რაიონში. ამ მხრივ საგულისხმოა საქართველოს მეცნიერთა მიღწევები. ბევრ მათ ნაშრომს არა მარტო დიდი თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტასთან.

მათემატიკოსთა ქართული სკოლის მიღწევები, კერძოდ მექანიკაში მათემატიკის გამოყენების დარგში, ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ჩემთვის, როგორც ამ დარგში მომუშავისათვის, ქართველი კოლეგების მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა.

ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიღებულია დიდმნიშვნელოვანი შედეგები თანამედროვე ფიზიკის ძირითად დარგებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევა მყარ სხეულებზე რადიაციის გავლენის, ზედენადობისა და ზეგამტარობის პროცესების შესწავლის, ბიოლოგიასა და მედიცინაში ფიზიკის გამოყენების დარგში. თბილისის რეაქტორში დამთავრდა მუშაობა ინდიუმ-გალიუმის კონტურის გამა რადიაციის მძლავრი წყაროს შესაქმნელად, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს ატომური რეაქტორების შესაძლებლობებს.

ფართოდ განვითარდა მეცნიერების ისეთი უახლესი დარგები, როგორიც არის კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა და სხვები. ქართველმა მეცნიერებმა შეასრულეს დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები სწრაფქმედი გამოსათვლელი და სხვა კიბერნეტიკული სისტემების ელემენტთა შესაქმნელად, რომლებსაც საფუძვლად უდევთ ახალი პრინციპები. მეტად საინტერესოა ბგერითი და მხედველობითი სახეების აღქმასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ნაყოფიერად ვითარდება კვლევა ასტროფიზიკისა და ვარსკვლავთა ასტრონომიის, დედამიწის აგებულებისა და განვითარების შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის განლაგების, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისა და გარდაქმნის, სამთო მექანიკის, ნაგებობათა სეისმომედეგობისა და დინამიკის დარგში.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს გეოფიზიკოსებმა სახალხო მეურნეობის ისეთი აქტუალური პრობლემის გადაჭრაში, როგორიც არის ბრძოლა ღრუბლებში სეტყვის პროცესების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს აკადემია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებას, ნეიროფიზიოლოგიისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ძირითად კანონზომიერებათა, კერძოდ მეხსიერების საკითხთა შესწავლას. დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სამუშაოები, რაც აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით ხორციელდება. მეხსიერების კვლევამ, რომელსაც აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი ეწევა, საშუალება მოგვცა გამოგვეტანა დასკვნა, რომ ადამიანის მეხსიერება ლოკალიზდება ტვინის ქერქქვეშ.

ძველი და მდიდარი კულტურის მქონე რესპუბლიკაში კარგი ტრადიციები დამკვიდრდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების, საქართველოსა და კავკასიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ენის, ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის პრობლემათა შემუშავების საქმეში. მაღალ დონეზეა აღმოსავლეთმცოდნეთა ქართული სკოლა.

ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მთელ რიგ ინსტიტუტებს აქვთ კარგი ბაზა სამეცნიერო კვლევისათვის. მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს.

გვახარებს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდნენ მეცნიერ მუშაკთა ახალგაზრდა კადრები, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მეცნიერების განვითარებაში, მათი მიზანდასახული ბრძოლა კვლევის შედეგების პრაქტიკაში დასანერგავად.

საქართველოში ერთი კვირის ყოფნის მანძილზე გავეცანით ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი რაზმის მრავალმხრივი საქმიანობის მხოლოდ ნაწილს. მაგრამ ის შეხვედრები, რომლებიც გვქონდა, ის ლაბორატორიები, რომლებშიც ვიყავით, ის შედეგები, რომლებსაც გავეცანით, საფუძველს გვაძლევენ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საქართველოს მეცნიერები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნის სახელოვან იუბილეს შეხვდებიან ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით.





შავი ზღის სამხრეთ ნაწილში ამინდი მკვეთრად გაუარესდა. ბევრმა ხომალდმა ქარიშხლისაგან თავდასაცავად ნავსადგურებს შეაფარა თავი. თურქეთის ნაპირთან ნავსადგურ ხოფის რაიონში თურქეთის გემი „სუმერი“ განსაკუთრებით არახელსაყრელ სტიქიურ პირობებში აღმოჩნდა. ძლიერმა სამხრეთ-დასავლეთის ქარმა შესაძლებლობა არ მისცა მას თურქეთის ნავსადგურებში შესულიყო. ქარიშხალთან ბრძოლით „სუმერი“ ბათუმის ნავსადგურისაკენ გაემართა. აქ თურქ მეზღვაურებს სტუმართმოყვარულად შეხვდნენ და საჭირო დახმარება აღმოუჩინეს. კაპიტანმა სეიიდ ოზდემირმა განსაკუთრებით გულთბილი მადლობა გადაუხადა ნავსადგურის ლოცმანს ანზორ ძნელაძეს, რომელმაც მოხერხებულად შეიყვანა ხომალდი ნავსადგურში.

გემი „სუმერი“ პირველი ხომალდი როდია, რომელსაც დახმარება აღმოუჩინეს ბათუმელმა მეზღვაურებმა. ხშირად, როცა შავ ზღვაზე ცუდი ამინდია, თურქეთის ხომალდები საიმედო თავშესაფარს ბათუმის ნავსადგურში პოულობენ.

სტუმართმოყვარე ნავსადგურს რომ ტოვებდნენ, თურქი მეზღვაურები დიდხანს უხდიდნენ მადლობას ბათუმის ნავსადგურის მუშაკებს.

სურათებზე: თურქეთის გემ „სუმერის“ კაპიტანი სეიიდ ოზდემირი მადლობას უხდის ბათუმის ნავსადგურის ლოცმანს ანზორ ძნელაძეს; თურქი მეზღვაურები მიესალმებიან ბათუმის ნავსადგურის მუშაკებს.

ფოტო გ. ზარიძისა.

თბილისი

უძველესი ბიბლიოთეკა

ხაშური. ხაშურის რკინიგზელთა ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად კულტურის სასახლეშია მოთავსებული, ერთ-ერთი უძველესია ამიერკავკასიის რკინიგზაზე. აქ მრავალი საინტერესო ცნობაა შემონახული ბიბლიოთეკის წარსულის შესახებ. გაზეთი „ივერია“ 1893 წლის 7 ივლისის ნომერში იუწყება, რომ „24 ივნისს გაიმართა წარმოდგენა ხაშურის სადგურის მოხელეთა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ამ ფულით სურთ შეიძინონ ქართული წიგნებიც, რადგან აქამდე არ ჰქონდათ“. ერთი-ერთი ცნობით 1911 წელს ბიბლიოთეკა დაუბურავთ არალეგალური ლიტერატურის შენახვისა და მოსახლეობაში გავრცელების გამო.

ახლა ბიბლიოთეკას მდიდარი წიგნის ფონდი აქვს. საველე სადგურებში გახსნილია ხუთი ბიბლიოთეკა, მუშაობენ წიგნის დამტარებლები. ბიბლიოთეკა ემზადება ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. მოეწყო ლიტერატურის, ილუსტრაციების გამოფენები, სტენდები.

ბერძენი მსახიობი ქართულ სცენაზე

გამოჩენილ ბერძენ მსახიობ ქალს ასპაზია პაპატანასიუს ქართველი მაყურებელი პირველად გაეცნო ჯერ კიდევ ამ საში წლის წინათ, 1964 წლის იანვარში.

ახლახან გამოჩენილი ტრაგიკოსი მსახიობი ქვლავ ეწვია თბილისს. ამჯერად იგი ბერძენ მსახიობთა დასთან ერთად არ ჩამოსულა. ასპაზია პაპატანასიუმ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე „მედეაში“ მედეას როლი შეასრულა.



სურათებზე: მარცხნივ — ასპაზია და ვერიკო ანჯაფარიძე; მარჯვნივ — სცენა ქართული სპექტაკლიდან, ასპაზია პაპატანასიუ — მედეა.



მსოფლიოს 25 ქვეყანაში

ზესტაფონი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარაგგასაღების განყოფილებამ ფეროშენადნობებით დატვირთული ერთი ეშელონი გაგზავნა კორეასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ახლა თითქმის ყოველდღე იგზავნება ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

წელს ქარხანა თავის პროდუქციას გაუგზავნის სა-

ზღვარგარეთის 25 ქვეყანას.

ფრანგი პარტიზანის ჩანაწერები

შეხვედრები ქართულ მიწაზე

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებმა იციან, რომ გასული წლის აგვისტოში საქართველოში თავიანთ ქართველ თანამებრძოლებთან სტუმრად იყვნენ ფრანგი პარტიზანები — საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ამბიური მებრძოლები.

პარიზში დაბრუნების შემდეგ ფრანგ პარტიზანთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა პოლ ბუსკიემ გამოგვიგზავნა წერილი საბჭოთა ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე. ჟურნალი მოგვითმობს ამ წერილის ქართულ თარგმანს.

მოსკოვიდან თბილისში და თბილისიდან მოსკოვის გავლით პარიზში დაბრუნებას, ორი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში მოგზაურობას, სასტუმროსა და კვების ხარჯების გასტუმრებას საკმაოდ დიდი თანხა ესაჭიროებოდა. ეს ხარჯები მთლიანად იკისრა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ, რომელმაც ძველი მეგობრების — დორდონის ტყეებსა და ატლანტიკის ფრონტზე ჩვენთან ერთად მებრძოლი ქართველი პარტიზანების თხოვნით სტუმრად მიგვიწვია საქართველოში.

საბჭოთა კავშირის საზღვრის გადაკვეთისთანავე ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ერთმანეთის ძმებად ითვლებიან. ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ერთმანეთის ძმებად ითვლებიან. ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანები ერთმანეთის ძმებად ითვლებიან.

საქმე წამოიწყო პეტრე ქიტიაშვილმა, მონტინიაკის რაიონის ყოფილმა პარტიზანმა, რომელიც ამჟამად ბორდოში ცხოვრობს. წინა წელს იგი სტუმრად იყო სამშობლოში და პირველი ნაბიჯებიც სწორედ მაშინ გადაიდგა. მალე პარიზში არსებული საბჭოთა საკონსულოს საშუალებით ოფიციალური მიწვევაც მივიღეთ. ჩვენ, ყოფილ ცხრა პარტიზანს, უნდა გვეკისრა მხოლოდ მოსკოვამდე მგზავრობის ხარჯები, რაც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საშუალებით კიდეც მოვახერხეთ შეღავათიან ფასებში.

ჩვენ ორგზის ვიყავით მოსკოვში ოთხი დღით და, ცხადია, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა დაგვრჩა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქზე. ამიტომაც რაიმე დასკვნის გაკეთება ჩვენი მხრიდან უბრალოდ კადნიერება იქნებოდა, თუმცა ჩვენ გვქონდა ერთი უპირატესობა: მოსკოვში მეგზურობას გვიწევდა ვოლგოგრადიდან სპეციალურად ჩვენ შესახვედრად ჩამოსული ამხანაგი ვიქტორ ალექსეენკო, რომელიც მონტინიაკში ფრანგ პარტიზანებთან ერთად იბრძოდა 1944 წლის თებერვლიდან.

ალექსეენკოსთან ერთად დავათვალიერეთ მოსკოვის მეტროპოლიტენი, წითელი მოედანი, მოსკოვის უნივერსიტეტის შესანიშნავი ანსამბლი პირდაპირი, ფართო პროსპექტებით, რომელიც მთლიანად მწვანეშია ჩაფლული.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თვით მოსკოველებმა გამოიწვიეს. ისინი ძალიან თავაზიანნი, სიცოცხლით სავსენი, დაუზარელნი და ძალიან ცნობისმოყვარენი არიან, ოღონდ მათი ცნობისმოყვარეობა არასოდეს არ იწვევს თქვენში უხერხულობას.

ტაქსი მოსკოვში ბევრია და რიგში დიდხანს დგომა არასოდეს არ არის საჭირო.

ჩვენ ორი სასტუმრო გამოვიცადეთ: „მეტროპოლი“ და „მინსკი“, ორივე „ინტურისტს“ ეკუთვნის. პირველი ძველებურ სასახლეს წააგავს, მეორე სრულიად ახალი ნაგებობაა, 10-სართულიანი. თვითეული მათგანი 500 ადგილიანია. სასტუმროში არის ბანკი, ფოსტა და სხვადასხვა მაღაზიები, სადაც შეიძლება უცხოურ ვალუტაზე ვაჭრობა.

როცა მოსკოვი ვინახულეთ, შესანიშნავი დარი იდგა. იქნებ ამანაც შეუწყო ხელი ჩვენს განცდებსა და შთაბეჭდილებებს? არ ვიცი. ერთში კი დარწმუნებული ვარ: წითელი მოედანი, კრემლი და მისი სხვა მონუმენტები ისეთ ანსამბლს ქმნიან, რომ იგი ყოველგვარ ამინდსა და ყოველ დროს აუცილებლად დიდი შთაბეჭდილების მომხდენი უნდა იყოს.

წითელი მოედნის შემდეგ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ. უზარმაზარ ფართობზე პარკებსა, ბაღებსა და შადრევნებში ჩამჯდარი თექვსმეტივე პავილიონი თავისებურად წარმოადგენდა ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების მუდმივად მოქმედ გამოფენას. ამჟამად თვითეული მათგანი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგს ასახავს. ჩვენ დავათვალიერეთ რამდენიმე პავილიონი, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და კოსმოსის კვლევისადმი მიძღვნილი გამოფენები. პირველ მათგანში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მანქანების (ტრაქტორები, სამკალ-სათესი მანქანები) მრავალსახეობამ და სრულყოფილებამ, მეორე პავილიონში ვიხილეთ კოსმოსური ხომალდების მოდელები, რომელთაც თან ახლდა საკმაოდ დაწვრილებითი კომენტარები... ჩვენდა სამწუხაროდ მხოლოდ რუსულ ენაზე...

„ქართველი ქალი“

თრიალეთის ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე, რომელიც თბილისის თავზეა გადმომდგარი, აღმართულია უზარმაზარი ქანდაკება საუცხოო ქალისა. ის სიმბოლოა საქართველოსი, რადგან ერთ ხელში ღვინით სავსე ფიალა უჭირავს, მეორეში კი გაშიშვლებული მახვილი აქვს ჩაბღუჯული.

ქართული ღვინოები

ეტყობა, ვაზის სამშობლო საქართველოა. ალბათ აქედან დაიპყრო მან ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნები.

მრავალგზის გავსინჯეთ ქართული ღვინის, შამპანურისა და კონიაკის გემო.

საბჭოთა ხმა

№ 7, აპრილი, 1967 წ.

ომის ნაძვალევზე

გმირი ხომალდის კაპიტანი

...როცა კარის ზღვაში ბელუხის კუნძულს ჩაუვლიან, ხომალდები დაბლა უშვებენ სახელმწიფო ალამს და საყვირებით სალუტს აძლევენ გმირ ხომალდს „ა. სიბირიაკოვს“.

რით დაიმსახურა ხომალდმა ასეთი პატივი?

25 წლის წინათ, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის გმირული ბრძოლის ერთ-ერთ მკაცრ დღეს ყინულმჭრელ „ა. სიბირიაკოვის“ (რომელმაც სახელი გაითქვა ჯერ კიდევ 1932 წელს უმაგალითო გმირობით — ერთ ნავიგაციაში გაიარა მთელი ჩრდილოეთის საზღვაო გზა) მეთაურმა ა. კაჰპარავამ ფლოტის სარდლობისაგან მიიღო დიდმნიშვნელოვანი და რთული დავალება — წასულიყო ჩრდილოეთის მიწის არქიპელაგის ყველაზე ჩრდილოეთი კიდისაკენ, გადაეტვირთა იქ ორი სახლისათვის საჭირო მასალა, რადიოსადგურის მოწყობილობა და სხვა ტვირთი.

— გაითვალისწინეთ, კარის ზღვა, სადაც ცურვა მოგიხდებათ, — გააფრთხილეს ხომალდის კაპიტანი შტაბში, — ახლა დუმილის ზონაშია. ამიტომ თქვენმა რაციამ მხოლოდ უნდა მოისმინოს, ეთერში გადაცემა კი შეიძლება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში.

„ა. სიბირიაკოვმა“ რეისი დაიწყო 1942 წლის 24 აგვისტოს ჩრდილოეთის თეთრ ღამეს. მეორე დღეს დილით მას წამოეწია მძიმე გერმანული კრეისერი „ადმირალი შეერი“, რომელიც შეიარაღებული იყო სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საბჭოთა ხომალდის მთელი არტილერიის დაწინაულება კი იყო მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვა ფაშისტური წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავების ერიშებისაგან. გერმანული კრეისერის ეკიპაჟი ათჯერ აღემატებოდა რაოდენობით საბჭოთა ეკიპაჟს.

გერმანელებმა მოითხოვეს საბჭოთა ხომალდის დაშვება და ტყვედ დანებება. ფაშისტებს აინტერესებდათ არა იმდენად „სიბირიაკოვი“, რამდენადაც დიდი „ნადავლი“ — საბჭოთა გემების დაუცველი ქარავანი, დატვირთული განსაკუთრებული მნიშვნელობის სამხედრო-სამეურნეო ტვირთით, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა. საბჭოთა მეზღვაურებმა დაუყოვნებლივ აცნობეს ფლოტის სარდლობასა და ქარავანს, კარის ზღვაში ფაშისტი მეკობრე დაძრწისო.

შემდეგ კაპიტანმა ა. კაჰპარავამ მიიღო გაბედული გადაწყვეტილება — ჩაბმულიყო ბრძოლაში, რათა თუნდაც რამდენიმე ხნით შეეჩერებინა რეიდერი და შესაძლებლობა მიეცა გემების ქარავნისათვის შესულიყო ყინულში მიუწვდომელ მანძილზე.

საბჭოთა მეზღვაურებმა სროლა აუტეხეს ფაშისტთა კრეისერს. ისინი ყუმბარას ყუმბარაზე გზავნიდნენ, მაგრამ რას გახდებოდნენ „ადმირალ შეერის“ სქელი ჯავშნის წინააღმდეგ?!


ამ დრამის დასასრული ყველასათვის ცნობილია. როცა ყინულმჭრელის გადარჩენის არავითარი იმედი აღარ იყო, მძიმედ დაჭრილმა ა. კაჰპარავამ უბრძანა თავის მეზღვაურებს ჩაეძირათ ხომალდი.

ადმირალი ა. გოლოვკო, რომელიც ჩრდილოეთის ფლოტს სარდლობდა დიდი სამამულო ომის წლებში, იგონებს „ა. სიბირიაკოვის“ ეკიპაჟის გმირობას და წერს: „არის ბრძოლები და შეტაკებანი, როცა ნაკლები რაოდენობის ადამიანები ცუდი იარაღით ებრძვიან უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს და იმარჯვებენ“. „სიბირიაკოვს“ ამის შანსი არ ჰქონდა. თავით ფეხამდე შეიარაღებულ ფაშისტურ ხომალდ „ადმირალ შეერთან“ შედარებით ყინულმჭრელი გემი სათამაშოს წააგავდა. მაგრამ არქტიკაში იყო ბევრი საბჭოთა გემი, რომლებსაც ემუქრებოდა „შეერთან შეხვედრა“. „სიბირიაკოვის“ მეთაურს უფროს ლეიტენანტს ა. კაჰპარავას, ეკიპაჟის ყველა წევრს ესმოდათ, რომ მათზე იყო დამოკიდებული რამდენიმე ხნით შეეჩერებინათ მტრის ხომალდი, ეცნობებინათ მის შესახებ მთელი საბჭოთა არქტიკისათვის. მათ იცოდნენ, რომ ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის ფასად, და ისინი უყოყმანოდ წავიდნენ ამაზე. სამშობლოსადმი ერთგულება, სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი გრძნობა, მისი სიყვარული — აი რა ამოძრავებდა საბჭოთა ყინულმჭრელი გემის ეკიპაჟს და პირველ რიგში მის მეთაურს“.

ომის შემდეგ ა. კაჰპარავა დაუბრუნდა კაპიტნობას. იგი ოკეანეებს სერავდა ყინულმჭრელ „ლევანევსკით“, შემდეგ დიზელ-ელექტრომავალ „ბაიკალით“, მშრალტვირთიან დიდტონაჟიან გემ „თბილისით“.

ამას წინათ რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს საზღვაო-სანაოსნო. მის უფროსად დანიშნეს მამაცი კაპიტანი, გამოცდილი **ანატოლ ალექსის-ძე კაჰპარავა**, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული და მთელი საბჭოთა საზღვაო განვითარებისათვის.

ო. ვახტანგაძე.



სურათზე: კულტურის სახლი სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში.

ქალაქი შენდება

ტყიბული. მეშახტეთა ქალაქში კვლავ განუწყვეტლივ დაჭრიან საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანები, ექსკავატორები გრუნტს თხრიან, ბულდოზერები მიწას ასწორებენ. ვეება ამწეც მანქანებს სულ მაღლა და მაღლა ააქვთ სართულთაშორისო გადახურვის რკინაბეტონის კონსტრუქციები.

გასულ წელს მშენებლებმა ბევრი რამ გააკეთეს. მათ ააშენეს ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, საშუალო სკოლა, 5 ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მეშახტეთა დასასვენებელი სახლი რუსთაველის მთაზე და სხვ. ელექტრობურღით ხელში თითქმის ორნახევარი კილომეტრი გაიარეს მიწისქვეშ შახტმშენებლებმა, რომლებიც აგებენ ორ ახალ შახტს და აღრმავებენ ლენინის სახელობის შახტს მესამასე ჰორიზონტამდე.

მეშახტეთა ქალაქი კვლავ მშენებლობის **ხარაჩოებშია**. წელს 42 პროცენტით იზრდება მშენებლობათა მასშტაბი და მოცულობა. მშენებლებმა უნდა აითვისონ თითქმის ორი მილიონი მანეთით მეტი თანხა, ვიდრე გასულ წელს. წელს აშენდება საცხოვრებელი სახლები, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა და ბაღი, სპორტული სასახლე, სტადიონი.

ჩვენი ფიასკო

ყურძენს აქ ღვინის ქარხნებს აბარებენ, სადაც მას მაღალ მეცნიერულ დონეზე ამუშავებენ და ბოთლებში ასხამენ. ეტიკეტები დაწვრილებით მიუთითებენ ღვინის სადაურობასა და ღირსებაზე.

ვინახულეთ ამ ქარხანათაგან ერთერთი ყველაზე უძველესი და მნიშვნელოვანი. ღვინის „ბიბლიოთეკის“ დათვალიერების შემდეგ, სადაც წარმოდგენილია საუკეთესო წლების ყველაზე უფრო შესანიშნავი წარმოების ღვინოები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, თავი მოვიყარეთ სადეგუსტაციო დარბაზში. ათობით ადგილობრივი ღვინო შემოგვთავაზეს გასასინჯად. მეხსიერებაში ჩამრჩა თეთრი ღვინო, რომელიც ძალიან წააგავს ჩვენებურ შაბლის. წითელი ღვინოები ბორდოს კატეგორიას განეკუთვნებიან. შემაგრებული ღვინოები კი აპერიტივს.

ღვინის დაყენების ხელოვნება არავითარ ეჭვს არ იწვევს, გაფორმება უნაკლოა. ქარხნის დირექტორი შესანიშნავად იცნობს ფრანგული ღვინის წარმოებას. თავის დროზე სასწავლო პრაქტიკა მას ვოკლუზსა და ლანგედოკში გაუვლია.

ქარხნიდან წამოსვლისას ჩვენს დელეგაციაში მყოფ ქალებს მიართვეს მუყაოს ყუთებში ჩაწყობილი ბოთლები საკუთარი წარმოების ღვინის საუკეთესო ნიმუშებით.

სადღეგრძელოები

საქართველოში ყოველი ოფიციალური სადილი სადღეგრძელოების გრძელ რიგს წარმოადგენს. სუფრას „თამადა“ — მაგიდის უფროსი ხელმძღვანელობს. იგი წარმოთქვამს სადღეგრძელოებს და უფლებას აძლევს თანამესუფრეთ თვითონაც თქვან რაიმე ახალი სადღეგრძელო. ხშირად ისმოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შარლ დე გოლის სადღეგრძელო...

საბედნიეროდ, ქართული სამზარეულოს სიუხვე და სიმდიდრე საშუალებას იძლევა უხიფათოდ გადაიტანოთ ეს გრძელი სადილები, სადაც მასპინძლის გულმხურვალება მეტოქეობას უწევს ღვინის სიმაგრესა და ცხარე საჭმელებს.

მშვიდობის სიყვარული

მშვიდობის დაცვა ყველა საბჭოელის განუწყვეტელი საზრუნავია, უფრო სწორად — მისი ყველაზე დიდი საზრუნავი. ეს ზრუნვა თავისებურად მჟღავნდება მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის წარმოთქმულ მრავალრიცხოვან სადღეგრძელოებშიც, რომლებიც მუდამ ძალიან ემოციური და შთამბეჭდავია.

როგორ კარგად გვესმოდა ყოველივე ეს!

საბჭოთა ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომში 20 მილიონზე მეტი ადამიანი დაკარგა. აქ ჯერ კიდევ იბრძვიან მიყენებული ჭრილობების განკურნებისათვის. აქ წინასწარ ზომავენ და გეგმავენ ყველაფერს, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ცხოვრების ყოველდღიურად გაუმჯობესებას. ეს დიდი გეგმები მხო-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე).

შეხვედრები ქართულ ვიწაზე

(გაგრძელება).

ლოდ მშვიდობის პირობებში შეიძლება განხორციელდეს.

მშვიდობის ასეთი სურვილი ჩვენთვისაც გასაგებია, მაგრამ აქამდე ვერ წარმოგვიდგენია, თუ მისი გამოხატვა ასე ძლიერად და ასე გულწრფელად შეიძლებოდა.

საქართველოს წინაისტორიული პერიოდი

ვინახულეთ თბილისის სახელმწიფო მუზეუმი. ჩინებულია წინაისტორიული პერიოდისადმი მიძღვნილი განყოფილება. აქ ძალზე ჰარმონიულად არის წარმოდგენილი ძველი და მომდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალები. როგორც ჩანს, ამჟამად გათხრებს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და დიდი გულმოდგინებით ეკიდებიან მას. ჩვენმა ჯგუფმა, რომელშიც ძირითადად პერიგორდელები შედიოდნენ, სწორედ ამ განყოფილებიდან დაიწყო მუზეუმის დათვალიერება და დიდი ინტერესიც გამოიჩინა მისდამი.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩავწერეთ: „ეიზის, მუსტიეს, ლასკოსა და წინაისტორიული პერიოდის სხვა ლენებიდან (სამმკვირდეო მამული — **რედ.**) ჩამოსულებმა, ჩვენ კიდევ ბევრი რამ ვისწავლეთ აქ“.

საქართველო და საფრანგეთი

ფრანგულ კულტურას საქართველოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იქ კარგად იცნობენ ჩვენს დიდ მწერლებსა და მსახიობებს, დიდხანს ჩამრჩება მეხსიერებაში, თუ რა დაემართა ერთ ჩვენს ამხანაგს ბორჯომში (საქართველოს ვიში) ყოფნისას.

როგორც კი თვალი მოჰკრა დასვენების პარკში სკამზე ჩამომჯდარ გოგონას ფრანგული „ლუმანიტეთი“ ხელში, მივიდა მასთან და პირდაპირ საფრანგეთის უკანასკნელ ამბებზე დაუწყო საუბარი, რადგან ქალიშვილი თავისი თანამემამულე ეგონა.

ქალიშვილი ქართველი სტუდენტი აღმოჩნდა, მაგრამ ფრანგულად უკვე გამართულად ლაპარაკობდა.

შეხვედრები

თბილისის აეროდრომზე ბლომად დაგვხვდნენ დორდონის ტყეებში ჩვენთან ერთად მებრძოლი ქართველი პარტიზანები, ზოგ მათგანს 2-3 დღის შვებულება აეღო, უმეტესობა კი ჩვენი იქ ყოფნის მთელი დროის განმავლობაში თან დაგვყვებოდა, გვეპატიჟებოდა საკუთარ ოჯახში და შეუდარებელ მასპინძლობას გვიწევდა. მათ როგორლაც ააღორძინეს ის ძმური ატმოსფერო, რომელიც ჩვენს შორის ადრე მეფობდა საფრანგეთის მაკებში. მათთან პირადმა შეხვედრებმა მეხსიერებაში აღადგინა ბევრი სურათი და ძვირფასი მეგობრის სახე.

გორელო გიორგი შავშიშვილო, ზესტაფონელო გიორგი ბერძენეო, ქუთაისელო გოგი, ვანო და ყველა თქვენ — დორდონის მაკისა თუ ატლანტიკის ფრონტის ქართველო მეგობრებო, რა მღელვარებით იხსენებდით ჩვენს საერთო ბრძოლას საფრანგეთში, ჩვენი სამშობლოსა და ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულ საბჭოთა მეგობრებს. რა სიამაყით გაგვაცანით თქვენი ბავშვები! ამას განსაკუთრებით შენზე ვამბობ, ზესტაფონელო ინჟინერო მეგობარო, რომელმაც შენი ვაჟი — მომავალი ინჟინერი გამაცანი! ამაზე შენზე და შენი ოთხი წლის მომხიბლავ გოგონაზე ვამბობ, ჩემო გიორგი შავშიშვილო!

კახეთში

ერთ დღეს ჩვენმა გიდმა განაცხადა, ხვალ კახეთს გავემგზავრებითო. მოტიტვლებული, გადარუჯული მთაგორები უკან მოვიტოვეთ და საკოლმეურნეო სოფლებში შევედით. ცხელოდა, ძალიან ცხელოდა. გარეთ ცოტა იყო ხალხი. ბავშვები თამაშობდნენ, მოხუცები ჩრდილში ისვენებდნენ ან ქითხულობდნენ. გზის პორდიურებზე მხოლოდ თიკნები, ჩოჩორები და ხბოები წიწკნიდნენ ბალახს.

გადავწყვიტეთ აკურაში შევჩერებულიყავით და ყვავილებით შეგვემკო საავტომობილო კატასტროფის დროს დაღუპული მეგობრის შაქრო ლამპაზოშვილის საფლავი, რომელიც ადრე ჩვენთან ერთად იბრძოდა მონტინიაში.

აკურა დიდი სოფელია 900 კომლითა და 2.000 ჰექტარი მიწით.

მალე მოვძებნეთ ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის ოჯახის წევრები, გავეცანით.

სასაფლაოზე აღმართულ ძეგლზე გარდაცვლილის პორტრეტი ჩამოეკიდათ, იქვე მახლობლად სუფრა გაეშალათ, სასმელ-საჭმელი დაეწყოთ. დაიწყო რადაცა რიტუალი, მძიმე, მაგრამ ღრმა-აზროვანი. ყველამ დალია სასმელი და გატეხა პური. სასმელ-საჭმელის ნაწილს საფლავზე ტოვებდნენ.

ჩვენ სამხრეთ საქართველოს პლატოზე ვდგავართ. ზეცაზე ერთი ღრუბელიც არა ჩანს. ძნელია გაარჩიო, სად იწყება და სად მთავრდება ჩვენს წინ აყუდებული მთა. რა სილამაზეა!..

სასაფლაოს მიწა კი გამომშრალია, ბალახი მოყვითლო, გადარუჯული, როგორც თამბაქოს მწეველი კაცის ულვაშები. ნაკადულებად იღვრება ცრემლები...

ჩვენი მოულოდნელი სტუმრობა მაინც არ დარჩა ხალხისათვის შეუმჩნეველი. სასაფლაოზე „მოსკვიჩით“ ამოვიდა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მანქანა ახალთახალია, ჯერ კიდევ უნომრო.

სოფელში ვბრუნდებით, გვინდა ყველას დავემშვიდობოთ და გზა განვაგრძოთ, მაგრამ ადარ გვიშვებენ. გვესმის ქათმების კრიახი.

სუფრის გაწყობამდე კოლმეურნეობის თავმჯდომარე საზამთროს პლანტაციაში გვეპატიჟება. აქ ოცამდე კოლმეურნე დაგვიხვდა (მხოლოდ და მხოლოდ კაცები), შარვალდაკაპწებულები დატოპავდნენ წყალში და დიდ-დიდი საზამთროები გამოჭრილდათ ჩვენთვის. მერე რა ყურადღებით დაეძებდნენ, რამდენს დავობდნენ და ჯამაობდნენ, ვიდრე ჩვენს შესაფერ საზამთროს შეარჩევდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ამირან ბილანიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემიის სკულპტურის ფაკულტეტი დაამთავრა 1954 წელს. დაიწყო დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძიების წლები. პირველმა წარუმატებლობებმა გული ვერ გაუტეხა ახალგაზრდა მოქანდაკეს. ცოტა ხნის შემდეგ მისმა სკულპტურულმა ფიგურამ „ზოია რუხაძემ“ სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღო. იგი დადგეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სააახლის პარკში.

ბილანიშვილი საკავშირო, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკური გამოფენების მონაწილეა. ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სპორტულ თემატიკას. მის ნამუშევარს „სპორტსმენი ნ. დვალიშვილი“ წარმატება ჰქონდა 1961 წლის ირულიად საკავშირო გამოფენაზე.

ამას წინათ ამირანმა დაამთავრა მუშაობა განთქმული ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის ქანდაკებაზე. 3,5 მეტრი სიმაღლის ამ მონუმენტურ ფიგურაში მომღერალი გამოსახულია როგორც ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მთავარი გმირი აბესალომი. წელს სკულპტურა ლიტონში იქნება ჩამოსხმული და მას დადგამენ მომღერლის სამშობლო სიღნაღში.

ამჟამად ბილანიშვილი ემზადება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ქანდაკებით და დიდ სამამულო ომში დაღუპულ ჯარისკაცთა ძეგლით.





სურათებზე: მოქანდაკე ამირან ბილანიშვილი სახელოსნოში მუშაობის დროს; ვ. სარაჯიშვილის სკულპტურული ფიგურა.

ფოტო გ. კიკვაძისა.

ტურისტული მოგზაურობანი

საზღვარგარეთული ტურისტული მოგზაურობანი სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ საქართველოში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ტურისტები ჩვენი რესპუბლიკიდან უკვე იყვნენ უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში. მშენებელთა ჯგუფმა იმოგზაურა ფინეთში და გაეცნო ფინელ მშენებელთა მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

წელს ფაქტობრივ იქნება შემოღებული პრაქტიკაში საზღვარგარეთ ტურისტული ჯგუფების გაგზავნა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. მაგალითად, მალე რუმინეთსა და ბულგარეთში წავლენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს მუშაკები, ჩეხოსლოვაკიაში — ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის მუშაკები, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, ივნისში 20 დღეს იმოგზაურებენ რუმინეთში ქართველი მშენებლები, აგვისტოში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრებიან ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშები და ინჟინრები.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის წევრ ტურისტთა სპეციალიზებული ჯგუფები ეწვევიან პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკები — ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კულტურის მოღვაწეები — პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას, აჭარის მშრომელები — უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას.

ივნისში საქართველოდან რუმინეთსა და ბულგარეთში წავა ავტოტურისტთა პირველი კოლონა. მეორე კოლონა ივლისში წავა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. სექტემბერში ავტოტურისტები ეწვევიან რუმინეთსა და ბულგარეთს.

7 დღის მოგზაურობა ბულგარეთში და 13 დღის დასვენება ვარნაში და ოქროს ქვიშრობზე — ამას გვთავაზობენ „ინტურისტი“ და ბულგარეთის ტურისტული ორგანიზაციები. ბულგარეთში პროფკავშირული საგზურებით გაემგზავრებიან ტურისტთა ჯგუფები ივნისში, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში.

ლევან გოთუა

უგზო ქარავანი

ამოთხრობა

— მაშ არა და შენსაო? — უკმეხად უპასუხა თურქმა.

— ჰოდა, ეგრე! ჩემი უფრო უპრიანია. ჩემი თავიც მიითვლება ანგარიშში. სპილოს ძვლისა არც ერთია და არც მეორე!

ეს ისე უბრალოდ და უყოყმანოდ იყო ნათქვამი, რომ თურქი გახევდა, მერმე თითქოს ეჭვი შეეპარაო, საკინძე გაუსინჯა გორგასალს, კისერზე შეავლო გამოცდილი ხელი. დასაკლავი ხარივით გაუსინჯა ქენჩო.

— აფსუსია, ამ კისერმა თავი სხვის სათვალავში დაკარგოს!

— ეჰ! რატომ სხვისი? შვილის სათვალავში... შენც ხომ მამა ხარ, ისკანდერ! — მერმე კი უფრო დინჯად განაგრძო: — ერთიცაა — მთელი ჩემი სიცოცხლე მოუარავ-ფაშასთან გამიტარებია... და ეს რაღა ბედნაა?.. განა მცირე ხანი. მთელი გრძელი და გატანჯული სიცოცხლე. სად არ ახლდა თავის ბატონს. რა ქვეყანაში არ ყოფილა. სად არ უომია. რაოდენი გამარჯვება და მარცხი უნახავთ ერთად. რამდენი ჩუმი ფიქრი და ოცნება უტარებიათ. ხშირად თავის ბატონს სტუქსავდა კიდევაც გუნებაში. აი, როცა იგი ქართველებზე იშიშვლებდა ხმალს; მაგრამ, ვინ იცის, სად იყო სიმართლე ამ ვაზის კლერტივით დაგრეხილ ცხოვრებაში? მაშინ კი, როცა გული რეჩხს უზამდა, ხმალს არ იშიშვლებდა გორგასალი. მისი დასერილი ჭარჭანია მიწმე. მას თავისი პატარა სიმართლე მუდამ ჰქონდა და ახლდა. მაგრამ ათული წლების განმავლობაში სარდალს რომ შეაბერდები, მერმე სიკვდილიც ერთად სჯობია ბარემ. „შვილსაც იხსნის!“ „შვილსაც იხსნის!“ ღვიოდა ძირა გრძნობა და ყველაზემოკიდებული პატრუქივით გასდევდა ყოველ ფიქრს.

არც გაუგია, როგორ გამოვიდნენ ყავახანიდან, როგორ შეუდგნენ აღმართს დილეგებისაკენ.

გარეთ ღამე ჩამოწოლილიყო. შემოდგომის მძიმე სიცხე ჯერ არ განელებულიყო. თურქმა ოფლი მოიწმინდა. გულღრუ კაცად იყო ცნობილი ისკანდერ. თავების „გადათვლასაც“ ავალებდნენ ხანდახან. დღეს კი სულ მოიშალა. მარჯვენაზე თითქოს სამი ნათითარი ეწოდა. ფერდის ძველი ნაიარევიც სტკიოდა.

განცვიფრება კი უფრო და უფრო ეუფლებოდა.

— ეს როგორი ამბავია? სად გაგონილა? — ბუზღუნებდა თავისთვის.

—შენთვის განა სულ ერთი არ არის? თავი თავია! მით უფრო მამა-შვილის. სხვას ხომ არ გთხოვ? შეუძლებელსაც არას ვითხოვ! თორემ იქნებ სარდლისა მეთხოვა?

გალიეს სავალი. უკვე ახლო იყო დილეგი. თურქი კი სდუმდა.

— მაშინ, მეც წამიყვანე მათთან, მეც! იქ, მათთან ერთად... ესღა დამრჩენია სათხოვარი. ოდესმე მადლი მიქნია. იცის ღმერთმა, არ ვნანობ. მადლს გადახდა უნდა. არც თქვენი ღმერთი იქნება ამის წინააღმდეგი, მეც მათ მიმაყოლე.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია თურქმა. — აზამ-ვეზირის სისხლისმსმელობა, თორემ, ან კი ამათი გაწყვეტა მართალი საქმეა? შენი ზედმეტი თავი რაღად მინდა?

— შენთვის ბეჟანის თავია ზედმეტი! იგი ჩათვალე მეტად.

გორგასალმა წინ გადაურბინა, მისწვდა და დაუწოკა.

რამდენი უცხოვრია, რამდენი უბრძოლია, რამდენი რამ გადაუტანია, მაგრამ მუხლებზე არ მდგარა გორგასალი. სწორედ ამიტომ იბრძოდა ისეთი გაშმაგებით. მუხლმორთხმული მხოლოდ ღიცულობდა, დაჩოქილმა „ღმერთთან საუბარი“ იცოდა.

ახლა კი დაუჭოქა, კისერი წარხიდა და ქვევიდან შესძახა ისკანდერს:

— ისეთ რამეს ნუ იზამ — არც კაცისა იყოს, არც ღვთისა!

მაგრამ ისკანდერი აღარ უსმენდა მას.

— უჰ! გურჯი-შაიტან! კიდევ მღერიან! გესმის?

მართლაც, ღამის გარინდებულ ჰაერში მკაფიოდ მოისმოდა ქართული სიმღერა. ჰალაბის დილეგიდან გაყუჩებულ უცხო მიდამოს ეფინებოდა ხალისიანი, მაგრამ განწირული ხმა.

გორგასალმა კვლავ გაარკვია ხავერდოვანი ხმა, ლექსს რომ წამოიწყებდა ხოლმე. იგია, მისი შვილი — ბეჟანი! ბანს კი პაპუნა ეტყვის. მოძახილს გაგია, ეს კი თედია, ცოტა ხმას რომ შეაცდენს ხოლმე სიმღერას. ბრძოლაში გამოყრუებდა მოხუცი. ყველას ხმებს არჩევს გორგასალი. ყველასი ესმის — გარდა ერთისა. იმის ხმა არ ესმის — ყველაზე უფრო რიხიანი და ბოხი.

ის აღარც მღერის. არც ხმას იღებს. არც რამ დარჩა სათქმელი. ყველაფერი თქვა — ზოგი კარგად, ზოგი ცუდად.

გორგასალს თვალწინ წარმოუდგა მკვდრის ზღით განათებული ხელებდამჯდარი ქვება მხედარი.

თითქოს სიჩუმის ხმა ჩურჩულებდა სადღაც:

„ხან წაღმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკუღმა — ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა!“

გული ჩასწყდა გორგასალს და სადღაც ქვესკნელში გმინვა ჩაიტანა. მარტოობის საშინელი სუსხი იგრძნო. სიკვდილზე უფრო შეუმძიმდა ეს გრძნობა.

— ახლავე წაიღე ჩემი თავი! ახლავე! დანარჩენი შენს ვაქაცობაზე იყვეს! გენდობი. ჩვენ ურთიერთ შორის სისხლიც გვღვრია და პურიც გაგვიტეხია! — ულოდნელად წასწვდა თურქის მარჯვენას და ნათითურებზე დაასო კბილები. მწარედ უგმინა.

— შეგირცხვეს ეს მარჯვენა, თუ შენი ხელით მათთან არ მაღირსო სიკვდილი!

ისკანდერმა ერთი დაიგმინა და ხელი ჰკრა მოხუცს.

— ახლა რა ჭირად მინდა შენი თავი! დილაზე უთენია დამხვდი აქ! არ დაიგვიანო — არ მოგიცდი, იცოდე!

მოსხლტა ისკანდერ და შეაღო დილეგის ალაყაფი.

რას დაიგვიანებს გორგასალი! რას დაიგვიანებს?! სულ არ წავა აქედან! აქ, ამ დილეგის ზღურბლზე არია მისი ადგილი. სულაც არ წავა!..

ალაყაფში უფრო ძლიერად მოისმოდა სიმღერა.

მიხურვისას თურქი შემობრუნდა და გორგასალს გაჰხედა.

იგი კვლავ მუხლებზე იდგა და გარედან ბანს აძლევდა ტყვეების სიმღერას!

* * *

გორგასალს წინ ჰქონდა მთელი ღამე. განწირულისათვის ეს დიდი ვადაა. ჩავიდა იქვე მახლობელ ჭასთან. გადიძრო ჯაჭვის პერანგი, შიგ გაახვია თავისი ხმალი, საკაძისეული ხმლის ნატეხიც და შეთხელებული ქისაც. ყველაფერი თოფრაში ჩასდო.

მერმე საცვალი გაირეცხა, გაიწურა და გაუშრობლად ჩაიცვა. ფეხები და ხელპირი დაიბანა. ოფლიან კისერზე სველი ხელი რომ გადისვა, თითქოს ფოლადის სიცივე იგრძნო. ერთი წუთით თვალები დახუჭა და სიკვდილის მიღმა გადაიხედა. ნათლივ წარმოიდგინა თავისი დაჭრილი თავი. მაგრამ სრულიადაც არ აღელვებულა. არც არაფერი სტკენია. საკინძის ქვეშ მცირე ჯვარი მოებორკა ხელში. ჩამოიხსნა და თოფრაა გამობა. ხახაში შეკვეთილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, პეშვით ცოტა წყალიც მოსვა და ხელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შეუდგა შეღმართს. დილეგისაკენ მიეტანა. ღამეში მიყუჩებული, უცხო ქალაქი უზარმაზარ ხნულებად, კალოებად, რუებად და წისქვილებად ეჩვენებოდა ნოსტეველ გლეხს და მიწის სიყვარულის მოუკლავი ენით თან მიჰყვებოდა გოლგოთაზე მიმავალს. მაგრამ ბინდმა ეჭვიც იცის. ჩაღამებულ მიდამოს დაეკარგა სხვაობის ნიშანი და იგი საოცრად დაემსგავსა სულ სხვა, შორეულ მხარეს.

იქნებ ახლაც გორის ციხეზე ადის გორგასალი და ქვევით, ღამეში ჩაბუბნული მხარე — ქართლის ველია? იქ, სადღაც, ალბათ, მტკვარი დის, ლიახვიც ჰბორგავს, თეძამიც. აი, ის შავ-რუხი ქედზურგი რით არა ჰგავს თრიალეთს? კალთებზე მეჩხრად სოფლები მოთესილან. ხეობებში შეხიზნულან ბაღ-ვენახები. ზენაჭარი კურდღლაობს ნოსტეს ყანებში. ეს უთუოდ ასეა! ჰოდა, რა უჭირს, რომ ეს მართლა აეე იყოს? ვის რა დაუშავდება ამით? ვის რა?

დილეგის მახლობლად შედგა გორგასალი. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ღმერთო! დიდება შენდა! რათა-მეთქი? ვის რა დაუშავდება? — ერთი კი აღიმაღლა სიტყვა. მაგრამ უმალ პირჯვარი გადაიწერა და დადუმდა. დიდხანს მდუმარედ „ესაუბრა ღმერთს“, მერმე სმენად გადაიქცა.

ადამიანი უსმენდა ზეცას, მაგრამ ახლაც სრული სიჩუმე სუფევდა, ზეცას თითქოს არაფერი ჰქონდა სათქმელი.

აღარც დილეგიდან ისმოდა სიმღერა. შორს უგზოობაში მიმავალი ქარავნის ზინზილაკის ხმაც დიდი ხანია მიწყდა. მხოლოდ დილეგის ირგვლივ შმაშურები ფრინავდნენ ღამურები და აუგად აღრჭიალებდნენ კბილებს.

მეორე მუხლისთავზეც ჩაიჩოქა გორგასალმა. მერმე მოიხარა და მიწას დაადო ყური. ასე გვერდზე მიწვა.

მიწის შვილი ახლა თითქოს მიწისაგან მოელოდა ამაო პასუხს.

ასე დაათენდა თავზე. დილა-ბინდისას ფეხის ხმა მოესმა დილეგიდან. ჩუმად გაიღო მცირე კარი. უმალ შეეგება გორგასალი. დიახ, იგი იყო, ისკანდერი. იცოდა გორგასალმა, არ მოატყუებდა უთითო!

თურქმა ხელი დაუჭნია, ასკერის ფართო მხარსასხმა გადმოუგდო.

კიდევ ერთხელ — ახლა, ალბათ, უკანასკნელად, მოიხურა გორგასალმა სხვისი სამოსი და სხვის ქვეყანაში საზვარაკოდ მზად იყო სხვისი სიკვდილის ქურდი.

თოფრა გზის მიღმა მოზრდილ ქვის ქვეშ ამოაფარა და ისკანდერს დაუბარა:

— იმას ვადასცემ! — მერმე ჩუმად გაჰყვა ჯალათს. ალაყაფში შესვლისას ერთხელ კიდევ გაჰხედა დილეგგარეთა სამყაროს.

იქ არაფერი შეცვლილიყო.

მიწაზე კვლავ ბინდი იწვა, ხოლო ცაზე უღვთო განთიადი იფერებოდა.

მზე კარგა მაღლა იყო აწვერილი, როცა დილეგის ალაყაფიდან უცნაური ქარავანი გამოვიდა. აქლემები მოზრდილი ხურჯინებით დატვირთათ. გარდა ამისა, თითოეულ აქლემს დაბორკილი ტყვეები მისდევდნენ ფეხდაფეხ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად, საერთო თოკით იყვნენ მიბმული აქლემებზე.

მათ ცხენშუბოსნები ახლდნენ.

აქლემზე, რომელზედაც ბეჟანი იყო მიბორკილი, სულ ბოლოს გამოვიდა. დილეგის მახლობლად კვლავ შეაჩერეს აქლემი და გზიდან გადასულ ქარავანბაშს დაელოდნენ. მალე იგიც დაწია. დინჯად იჯდა ცხენზე და კრიალოსანს მარცვლავდა.

ბეჟანმა მთიდან რომ გადახედა ქვევით მიმავალ ქარავანს, მხოლოდ მაშინ დაინახა ტყვეები. ზინზილაკისა და ბორკილების ხმა ირეოდა და შორით განაგონი ზარების სამელოვნიარო რეკვასავით მოისმოდა.

ეცოტავა ტყვეები ბეჟანს.

„ნუთუ მხოლოდ ნაწილს გვაგზავნიან კონიაში?“ — გულუბრყვილოდ ფიქრობდა იგი. ქარავანს ჩამორჩენილი აქლემი კი საწყალობლად ბღაოდა, მიისწრაფოდა და მიითრევდა ბეჟანსაც. იგი კი კარგად ვერც კი მოსულიყო აზრზე. რა მოხდა! ან რა მოელოდათ წინ!

ცხენები რომ მოჰგვარა გიორგი საკაძეს უკანასკნელ ბანაკში, იქ უკვე მდევრის — ზორა-ფაშის მოციქულები დახვდნენ. ჰალაბს იწვევდნენ მოურავს. აზამ-ვეზირის შემორიგების სიგელი მოართვეს. უფნებლობის ფიცით შეიჯერეს. ახალგაზრდა იყო ბეჟანი, მაინც გრძნობდა, ნდობა არ შეიძლებოდა. რად ენდო ასეთი ეჭვიანი და ფრთხილი გიორგი? რად იბრუნა პირი ჰალაბისაკენ? რად არ დაანება მამის დაძახება?! გორგასალი მიხვდებოდა, ბეჟანს კი ცხოვრების გამოცდილება აკლდა. მხოლოდ შემდეგ... გვიან მიხვდა, რომ საკაძემაც იცოდა ამ ფიცის ფასი, მაგრამ საბრძოლო ხმალი და ხერხემალი გატეხილი ჰქონდა.

თავისი პირადი სიმართლის რწმენა დაჰკარგოდა, ხოლო სხვა საყრდენი არ გააჩნდა არასდროს.

სდუმდა საქართველოს მოურავ-მეფე, შაჰ-აბაზის უპირველესი სარდალი, ყაჰრამან-კონიის ბეგლარ-ბეგი, კრიჭა შეეკრა — რადგან უგზოდ ვიდოდა მისი ქარავანი. იქაც კი, ჰალაბში მოსვლისას, ფაშასთან რომ მიიწვიეს, მან უსიტყვოდ გადახედა თავის გაოგნებულ თვითტომთ, ხელი ჩაიქნია და გაეცალა... მათთვისაც არ დარჩენოდა სიტყვა და სითბო.

ქართველები დიდი პატივით, ნაწილ-ნაწილ მოათავსეს ცალკე სადგომებში, ხოლო ღამე თავს დაესხნენ და დილეგში ჩაჰყარეს.

ბორკილგაყრილი საკაძე უკვე იქ დახვდათ.

ორმოცდაათი რჩეული მათ ბელადთან ერთად დილეგის მარჯვენა კოშკში გამომწყვდიეს, ხოლო დანარჩენები მარცხენაში წაიყვანეს. მარჯვენა კოშკში მოხვდა ბეჟანიც. ქვემოდან ზევით იღებოდა მძიმე, კიდემოჭედილი მორი. დახურვისას გრუხუნით დაემხობოდა ქვედა ზღურბლს.

შეუმძიმდათ ქართველთ თავისუფლების დაკარგვა. მხოლოდ ორჯა სიმღერით ირთობდნენ თავს, ურთიერთის ამბავსაც იგებდნენ მარჯვენა-მარცხენა კოშკების ტყვენი.

ერთ დილით, ადრიანად, თითო-თითოდ გაიყვანეს ტყვეები. პირველად დიდმოურავი წავიდა. მან ახლა კი სათითაოდ გადაჰკოცნა ყველა. ბეჟანი ყველაზე ახალგაზრდა იყო და, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. მხოლოდ საკაძის კოცნამ შეაშფოთა — მას საშინლად ცივი, გაყინული ტუჩები ჰქონდა.

კარში ერთხელ კიდევ შემობრუნდა გიორგი:

— არც ხმალი ვარგა ორპირი, არც მართახი ორშოლტიანი. დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს...

დანარჩენი მორის ხმაურმა შთანთქა.

ასე თითო-თითოდ გადიოდნენ. უფრო უსიტყვოდ. არც იცოდნენ, სად მიდიოდნენ. სანამ ჯგუფი განახევრდებოდა, ყველა ფეხს ითრევდა გასვლაზე...

აქ ყოფნა ერჩიათ. მაგრამ როცა წასულთა რიცხვმა გადააჭარბა, მერმე ყველა ჩქარობდა, თავად მიიწევდა გაასვლელად.

გარეთა ურდულის ხმას გაიგებდნენ თუ არა, ერთმანეთს ასწრებდნენ კარისკენ. ერთი-ორჯერ ბეჟანმაც მიატანა, გასცდა კედელაც კარს, მაგრამ ვიღაცა ორთითა კაცმა მახინჯი ხელი გაჰკრა გულში და უკან შემოაბრუნა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 4, 5, 6.

[L-20] ფ.16/48

ფეხბურთის კარი შეიღო

ფეხბურთის სეზონი დაიწყო!

ორ აპრილს ათასობით გულშემატკივარი თბილისის „დინამოს“ სტადიონისაკენ გაემართა. მიწყნარდა წინასწარი პროგნოზები, სასტარტო ციებ-ცხელება.

გაზაფხულთან ერთად მოვიდა ფეხბურთი.

საზეიმოდ აღმართეს 29-ე ჩემპიონატის ალამი მეტოქეთა კაპიტნებმა. სტადიონი სავსეა. მსაჯის სასტვენი. თამაში დაიწყო. პირველი მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივთან“.









ანგარიში — 2:2. მწვრთნელმა ვ. სოლოვიოვმა დაცვის ხაზი გადაახალისა. ბურთები თბილისელთაგან გივი ნოდიამ და მურთაზ ხურცილავამ გაიტანეს. ამ უკანასკნელმა თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“. გუნდის ხელმძღვანელობამ ცვლილებები შეიტანა გუნდის შემადგენლობაში. „დინამომ“ გაცილები უკეთ წარმართა ეს ორთაბრძოლა. მთელი პირველი ტაიმის ნახევარი და მეორე ტაიმი მთლიანად, ბურთი მოსკოველთა საჯარიმო მოედანს არ მოსცილებია, დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ. მაგრამ როდესაც თამაში უნდა დამთავრებულიყო (წამები რჩებოდა) მოსკოველთა გარემარბმა ბურთი გაიტანა რ. ურუშაძის კარში, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

მესამე შეხვედრა მოსკოვის ცსკა-თან. დინამოელთა რიგები ასე გამოიყურებოდა: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი, მესხი. (გუნდს აკლია იამანიძე, გ. სიჭინავა ტრავმის გამო).

თამაში მოგებულ იქნა 1:0. ბურთი მ. მესხმა გაიტანა, კუტივაძე-მეტრეველის ბრწყინვალე და ელვისებური კომბინაციის შემდეგ მეორე ტაიმის დასაწყისში. ამ მატჩში დინამოელებმა კარგად ითამაშეს. რასაკვირველია, იქნება წარმატება და წარუმატებლობაც, ეს ბუნებრივია, მით უმეტეს ძიებისას, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „დინამო“ მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს.

ახლა ქუთაისის „ტორპედოზე“ ვილაპარაკოთ, ახალგაზრდულ კოლექტივზე, რომელიც გასაოცარი მოსწრაფებით იბრძვის გამარჯვებისათვის და ყოველ მატჩს სერიოზულად ეკიდება.

სეზონის პირველი შეხვედრა ქუთაისელებს მოსკოვის „ტორპედოსთან“ ჰქონდათ. მეტოქესთან, რომელთანაც ქართველ ფეხბურთელებს ყოველთვის გამოსდით თამაში და რომლებისთვისაც ძალიან ძნელი მოწინააღმდეგენი არიან. ქართველმა ფეხბურთელებმა არც ახლა უღალატეს ტრადიციას. კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს 1:0. ბურთი დ. ვეკუამ გაიტანა.

მეორე და მესამე შეხვედრა ქუთაისელებმა 0:0 დაამთავრეს მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“. მართალია, მათ ამ მატჩებში ამკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბურთის გატანა ვერ შეძლეს. ქუთაისელთა რიგებში პერსპექტიული და ტექნიკური ფეხბურთელები არიან, გუნდის ყველა ხაზი თანაბარია.

ძალოსნობა. ამას წინათ თბილისში დამთავრდა ძალოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა „მეგობრობის თასზე“. თბილისის სპორტის სასახლეში გამოდიოდნენ საუკეთესო ათლეტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, და რაოდენ სასიხარულოა, რომ თავისი სიტყვა ამ ასპარეზობაში ქართველმა სპორტსმენებმაც თქვეს.

ქვემსუბუქ წონაში თბილისელმა დ. შანიძემ პირველი ადგილი დაიკავა. სამჭიდში მისი შედეგია 375,5 კილოგრამი. ქართველმა ძალოსანმა აკვრაში აჩვენა 150 კილოგრამი, რაც საკავშირო რეკორდია, იგი ახლოს იყო მსოფლიოს რეკორდის დამყარებასთანაც, მაგრამ ამჯერად ვერ დაძლია წონა. როგორც ჩანს, სულ მალე დაიმორჩილებს სიმძიმეს.

საშუალო წონაში მეორე თბილისელმა ბ. ქორჩილავამ აიღო 470 კილოგრამი. საქართველოს წარმომადგენელთა წარმატება ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობაში სასიხარულო და მისასალმებელია, მით უმეტეს რომ ორივე სპორტსმენი ახალგაზრდაა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინა აქვთ.

ჭაბუკობა. საქართველოს წყალბურთელები (თბილისის „დინამო“) უნგრეთშია და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ტურნირში (ერთი შეხვედრა წააგო 7:8, მეორე მოიგო 5:0); თბილისში სტუმრად იყვნენ იაპონიის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები (შეხვედრა ქართველმა ოსტატებმა მოიგეს 6,5:1,5); ამ დღეებში კი სპორტის სასახლეში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატი ხელბურთში. ტურნირის ნახევარს სსრკავშირის პირველი ჩემპიონი — თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელი ვაუები თავიანთ მოედანზე გამართავენ.

ო. ლორთქიფანიძე.

შენ დაკუთხულ ჭაკატეები!

შალვა იოსების-ძე ბრეგვაძეს, დაბადებულს 1911 წელს ქ. ბორჯომში, ეძებენ მშობლები: დედა — დარია სიმონის ასული, მამა — იოსებ ივანეს-ძე, ძმა — ალექსანდრე იოსების-ძე ბრეგვაძეები.

თედო ერასტის-ძე ომიაძეს, დაბადებულს 1920 წელს, ეძებენ დედა — ელენე (მელიკო) გრიგოლის ასული, დები — კაჯლო და ლენა ერასტის ასული ომიაძეები.

ივანე გიორგის-ძე გონჯილაშვილს, დაბადებულს 1906 წელს თიანეთის რაიონში, ეძებენ მეუღლე — სოფიო გათლოშეს ასული შიომღვდლიშვილი, შვილები — ერმონა, ვენერა გონჯილაშვილები.

იასონ ილიას-ძე გაშარაძეს, დაბადებულს 1910 წელს დუშეთის რაიონის სოფ. საშაგურაროში, ეძებს შვილი — გურამ იასონის-ძე გაშარაძე.

ოთარ დავითის-ძე მაჰავარიანს, დაბადებულს 1919 წელს, ქ. გორში, ეძებენ მშობლები: დედა — მარიამ მაჰავარიანი, მამა — სოსო ხარაზაკოფოვი.

ლევან არსენის-ძე ჩახვაძეს, დაბადებულს 1919 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიგათში, ეძებენ მშობლები: დედა — ნათელი ივანეს ასული, მამა — არსენ ესეს-ძე ჩახვაძეები.

აგესალომ ილიას-ძე გურჯანაძეს, დაბადებულს 1919 წელს ქ. ჭუთაისში, ეძებენ დედა — ვერა ივანეს ასული, შვილი — კუსუნა აგესალომის ასული, და — ეთერი ილიას ასული გურჯანაძეები.



სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — შალვა ბრეგვაძე, ლევან ჩახვაძე, თედო ომიაძე, ოთარ მაჰავარიანი; მარჯვნივ — ივანე გონჯილაშვილი თავის ცოლ-შვილთან ერთად.

სასარგებლო კონტაქტები

ამას წინათ უნგრელ მედიკ-მეცნიერთა წინადადებით გადაწყდა მომდინარე წლის სექტემბერში მოეწყოს სიმპოზიუმი უნგრული პრეპარატების „ბიშპანისა“ და „ჰალიდორის“ სამკურნალო ეფექტურობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრეპარატების შეფასება მიენდო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის, ბიოქიმიისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკას (კლინიკის გამგე პროფესორი ს. გ. კობალაძე).

სიმპოზიუმის მოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ნ. კახიანი.

ამას წინათ გაიმართა აღნიშნული კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომამ მოისმინა პროფ. ს. გ. კობალაძის ინფორმაცია სიმპოზიუმის მომზადებასთან დაკავშირებული მიმდინარე მუშაობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ნ. ა. ჯავახიშვილმა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსმა გ. გ. თვალთვაძემ, ქალაქის კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვ. კ. მაღრაძემ, პროფესორმა გ. ვ. გურგენიძემ, დოცენტებმა მ. ი. გამცემლიძემ და ზ. ლ. ზოდელავამ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა ზ. ნ. კახიანმა, რომელმაც თქვა, რომ აღნიშნული სიმპოზიუმის მოწვევა კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ურღვევი მეგობრობისა და მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობისა, რომელიც დამყარდა უნგრელ და ქართველ მედიკ-მეცნიერთა შორის.

კოშკინის სპორტული ველოსიპედი

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,88 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საredakციო კოლეგია

ვისაც აინტერესებს:

თბილისი, ჭ. ათონელის ქ. № 25.